№2082 2015 წლის 24 სექტემბერი ქ. თბილისი

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კლიმატის ცვლილების ჩარჩოკონვენციის სამდივნოში წარსადგენად საქართველოს „ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის“ დოკუმენტის მოწონების თაობაზე

1. მოწონებულ იქნეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კლიმატის ცვლილების ჩარჩოკონვენციის სამდივნოში წარსადგენად საქართველოს „ეროვნულ დონეზე განსაზღვრული წვლილის“ დოკუმენტი, რომელიც გათვალისწინებული იქნება კლიმატის ცვლილების ჩარჩოკონვენციის მხარეთა კონფერენციის მიერ კლიმატის ცვლილების ჩარჩოკონვენციის ფარგლებში კლიმატთან დაკავშირებული ახალი უნივერსალური ხელშეკრულების მიღებისას.

2. მიენიჭოს უფლებამოსილება საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს, როგორც გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩოკონვენციასთან ურთიერთობებზე პასუხისმგებელ ორგანოს, ამ განკარგულების პირველ პუნქტში მითითებული დოკუმენტი წარადგინოს კლიმატის ცვლილების ჩარჩოკონვენციის სამდივნოში.

პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი